№ 31 1877—1895 № 31

პარასკევი, 10 თებერვალი 1895

# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 14 თებერვ

**ქვრივი უგანათლებულესი კნეინა ნიდიტორა თავადის ალექსანდრე წულუკიძის ასული ბაგრატიონისა და შვილი მისი დავით** უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ძვირფასის მეუღლისა, ხოლო მეორე მამისა თვისისა სტატსკი სოვეტნიკის უგანათლებულესის **თავადის ალექსანდრე ივანეს ძის ბაგრატიონისას** (შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა), სთხოვენ სცენ მათ პატივი და დაესწრონ განსვენებულის გვამის გამოსვენებას 10 ამა თებერვალს, დღის პირველს საათზედ «სევერნ. ნომერ.»-ში ტფილისის რკინის გზის სადგურისაკენ, საიდგანაც იმერეთში წაასვენებენ.

**ანდრია ილარიონის ძე ადამიძე** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა თვისთა გარდაცვალებასა მეუღლისა თვისისა **ნატალია გაბრიელის ასულის ადამიძისას** და სთხოვს მობრძანდნენ წირვის მოსასმენად წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში, ჩუღურეთში, დილის 10 საათზედ, მიცვალებული იქმნება გასვენებული კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზედ.

(1—967—1)

## წლიური საზოგადო კრება.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების 11 §-სა, დანიშნულია 19 თებერვალს, დილის 11-ს საათზედ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდგან 1893 წლ. 1 ენკენისთვემდე 1894 წ.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის და წარსულის სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ.

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1 ენკენისთვიდგან 1894 წ. 1 იანვრამდე 1895 წ. და მთელის 1895 წლისა.

4) მოხსენება გამგეობისა თავ. ივ. გ. მაჩაბლის მიერ საზოგადოების სახელზედ ბანკში შეტანილის ბროსეს პრემიის თანხის მოხმარების შესახებ.

5) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა.

(3—6—3)

## ქართული თეატრი.

პარასკევს, 10 თებერვალს, 1895 წ.

„ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის“ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-ნ საფაროვისა და ავალიშვილის მონაწილეობით პირველად ახალი პიესა

**მუშაკი და ნებიერი**

დრამა 5 მოქ. თარ. პ. ყიფიანისა

მონაწილეობას იღებენ: საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, გამყრელიძისა, ტარიელოვისა და სხვ. ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შატირიშვილი, კანდელაკი, მარჯანოვი და საფაროვი.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „შეშლილია“ და „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“.

რეჟისორი ალ. მესხიშვილი. ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

(1—1)

შაბათს, 11 თებერვალს, 1895 წ.

„ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის დასის“ მიერ წარმოდგენილი იქმნება მეორედ ამ სეზონში

**სამშობლო**

დრ. 5 მოქმ. თ. დ. ერისთავისა

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

ბილეთები ისყიდება თვით „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, მხოლოდ წარმოდგენის დროს ბილეთები კასსას გარდაეცემა.

მონაწილეობას იღებენ ჩვენის სცენის საუკეთესო არტისტნი ქალნი და კაცნი.

## საოცარი პროექტი.

თბილისი, 10 თებერვალსა.

ჩვენ მოგვივიდა ბ-ნი როსტომაშვილისაგან შემდეგი შენიშვნა, სათაურით: „შეცდომის გასწორება“, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ.

„ჩემს წერილში „როგორ უნდა მოვაწყოთ სასოფლო სკოლები“ („ივერია“ №№ 23 და 24) საღმრთო წერილის გაკვეთილები დანაწილებულია ასე: ქართულად—3 და ორი გაკვეთილი და რუსულადაც 3 და 2. უნდა იყოს სულ ქართულად, როგორც ამას თხოულობს თვით კავკასიის სამოსწავლებლო უწყების „სასწავლო გეგმა ადგილობრივის პირველ-დაწყებითისა სკოლებისათვის“ გვ. 9,10 და 11 (учебный планъ начальной школы въ средѣ туземнаго населенія и о постановкѣ въ ней русскаго языка, изд. 1881 г.)

ი. როსტომაშვილი.

უნდა გულის წუხილით ვთქვათ, რომ ბ-ნი როსტომაშვილი შემცდარია არა მარტო საღმრთო სჯულის სწავლების შესახებ, არამედ მთელი მისი პროექტი სახალხო სკოლების მოწყობაზედ წარმოადგენს ფრიად საოცარს და მოულოდნელს უკუღმართობასა. ჩვენი რეფორმატორის პროექტი არამც თუ განუზომელად დაბლა სდგას წინამძღვარიანთ-კარის სკოლის გეგმაზედ, რომელიც არის შექმნილი და განხორციელებული, მთავრობის ნება-დართვით, ჩვენი მოღვაწეების და პედაგოგების მეცადინეობით, და რომელიც აწესებს მთელს სწავლას დედაენაზედ ექვსის წლის განმავლობაში, არამედ ბევრით უარესია იმ ოფიციალურს გეგმაზედ, რომელიც შედგენილია ახლანდელი განათლების მზრუნველის ბ-ნი იანოვსკის მიერ და დამტკიცებული მთავარ მართებლის დიდი მთავრის მიხეილისაგან. რა უფლებასაც ეს ოფიციალური პლანი ანიჭებს ქართულს ენასა, იმაზედ ნაკლები აღარ შეიძლება, თუ პედაგოგიაზედ სრულიად ხელს არ ავიღებთ, რა უფლებასაც იგი აძლევს რუსულს ენასა, იმაზედ მეტის მიკერძვა აგრეთვე აღარ შეიძლება. და, წარმოიდგინეთ, ამ ორკეც შეუძლებლობას შესაძლებლად და სასურველად ჰხდის ჩვენი რეფორმატორის პროექტი. მოისმინეთ:

ოფიციალური გეგმა საჭირო ვადად რაცხს დაბალი განათლების მიღებისათვის სამს წელიწადსა, (ევროპაში ექვსი წელიწადი სულ უმცირეს ვადად მიაჩნიათ, რუსეთში ახლა მეოთხე წელსაც უმატებენ), ბ-ნი როსტომაშვილი-კი საკმარისად სთვლის მხოლოდ ორს წელიწადსა.

ბ-ნი იანოვსკის გეგმით რუსულის ენის სწავლება უნდა იწყებოდეს პირველის წლის მეორე ნახევრიდგან, მას უკან, როცა ქართველი ბავშვები ცოტათი მაინც გაიმარჯვებიან ქართულს მეტყველებაში და გაათავებენ ქართულს ანბანსა. ბ-ნი როსტომაშვილი კი ბავშვებს არ აცლის, ქართული მაინც შეითვისონ, რუსულს ენასა იწყებს პირველის-წლის დამდეგიდგან-

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

## ოცნება

ფრთა შემასხა ტკბილ-ოცნებამ,
ცის სივრცეში ამაფრინა,
მზეს და მთვარეს შემაყრთა,
ვარსკვლავებთან მომცა ბინა.

—

საამქვეყნო ცხოვრებას
მომაშორა, მომაცილა,
ვარდ-ყვავილით დამამშვენა
სასიცოცხლო მკვირცხლი დილა!..

—

ხმა მასმინა ციურ დასთა,
გულზე-ყანგი გადამფხვრა
და მდუმარე ჩანგის სიმი
საარსებოდ ამიჟღერა..

—

მაგრამ ბედ კრულს, ცის სივრცეშიც
არ ამშორდა მტრის სამსალა:
გონს მოვედ და ეს განცხრომა
მდუმარებად შემეცვალა...

განდეგილი

## სხვათა შორის.

«კვალის» მეშვიდე ნომერში დასტამბულია გაჰიანურებული წერილი ასეთის რიხიანის სათაურით: «ივერიის» პოლიტიკანობა და ქართულის გაუგებრობა». ეს წერილი გამოუწვევია «ივერიის» პატარა შენიშვნას (№ 23), რომლითაც ჩვენ ვურჩიეთ „კვალს“ უფრო ყურადღებით შედგენა თავისის პოლიტიკურის წერილებისა. ჩვენ ვწერდით: „გაზეთი «კვალი» არა სჯერდება ჩვენის ქვეყნის დასების არევ-დარევას და ახლა საფრანგეთისაკენაც გაუწვდია ხელი. იქაურის საქმეებისა, ფაქტებისა და ნამდვილ მდგომარეობის მიხედვით-კი არა სჯის, არამედ à priori, როგორც თას, „კვალსა“ ჰსურს და ეჭაშნიკება“.

ცხადია—ამ სიტყვებით ჩვენ გვინდოდა გვეთქვა, რომ «კვალის» პუბლიცისტის თავშია მხოლოდ არეულ-დარეული პარტიების მდგომარეობა და არა ცხოვრებაში, არა ნამდვილად. მაგრამ „კვალის“ პუბლიცისტს ეს სხვა-რიგად გაუგია. იმას ჰგონია, რომ ჩვენ ვწუხვართ და ვუსაყვედურებთ მას, რატომ არიე ჩვენი ცხოვრება, რატომ დაჰყავი ის პარტიებად, და რას ერჩი საფრანგეთს, რომ იქაც გინდა არიო საქმეებიო. დახედეთ რასა სწერს ეს საკვირველი გმირი:

„ამ გვარივე გოდებით (ესე იგი როგორითაც „ივერია“) წუწუნებს ახლა ჩინეთის ბოგდიხანი იაპონელებზე: ამ წყეულმა იაპონელებმა შინაური დასები აგვირია, ქვეშევრდომებს გვიბრიყვებს, და ახლა, ამასაც რომ არ დაკმაყოფილდა, ევროპისკენაც გაუწვდია ხელიო“.

ნუ ჰფიქრობს პუბლიცისტი, ჩვენ იმისათვის ამგვარი გოლიათობა არ დაგვიწამებია, ნუ ჰფიქრობს, რომ ჩვენ იმისათვის იაპონიის როლი მივვეწეროს. იაპონიამ მართლა აწეწა ჩინეთის საქმეები, კორე ლამის ჩამოართვას, ევროპასაც ემუქრება, მაგრამ, რასაკვირველია, „კვალი“ ამ გვარს გმირობას ვერ შესძლებს და არც უფიქრნია, ასე რომ ეს შედარება ეს მოუყვანია, როგორც რუსები ამბობენ: „для краснаго словца“. ჩვენს შენიშვნასა და ჩინეთის გოდებას შუა საერთო არა არის-რა, ამ ორს აზრს შუა არავითარი დამოკიდებულება არ არსებობს. ალბად „იაპონიის განვითარების მამლის ყივილი“ ძილს უფრთხობს ხოლმე „კვალს“ და ამისთვის ყოველთვის ენაზედ ადგია იგი. შემდეგ პუბლიცისტი ეხება ფელიქ ფორს და ამტკიცებს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი პროგრესიულ-დემოკრატიულს პარტიას ეკუთვნისო, იმ პარტიას, რომელიც გამბეტამ შეჰქმნა, კაზიმირ პერიე-კი კონსერვატორი იყოო, ის იმ პარტიას ეკუთვნოდაო, რომელსაც ახლა საფრანგეთში ძალა აღარა აქვსო, ძალა გადავიდა პროგრესიულ დემოკრატიულ პარტიისაკენაო, რომელსაც ეკუთვნიან ბრისსონი, ფორი და სხვა... ეს სრული სიცრუე გახლავს და სამწუხაროა, როდესაც ამასა სწერს ის, „ვისაც საპოლიტიკო ისტორია ევროპის სახელმწიფოებისა და განსაკუთრებით საფრანგეთისა გულდასმით შეუსწავლია ამ ოც-და-ათის წლის განმავლობაში.“

ჩვენს ავტორს დაჰვიწყებია საფრანგეთის ისტორია, ვურჩევთ განიმეოროს, ცოტათი ჩვენც დავეხმაროთ და გავახსენოთ.

საფრანგეთის ბედიღბალი ჯერჯერობით ბურჟუაზთა პარტიების ხელშია. მათ პლუტოკრატულმა პოლიტიკამ შეაჩერა საფრანგეთის პროგრესსი. რესპუბლიკა დამყარდა, ბურჟუაზიის ლიბერალთა დასებმა განახორციელეს ყოველი თავისი წადილი და მოფიქრებანი; იმათ შეჰქმნეს ახლანდელი ბურჟუაზული საფრანგეთის პოლიტიკა, რომელიც დემოკრატიის წინააღმდეგია.

დღეს ამ ორ ბანაკს შუა გამწარებული ბრძოლაა. პირველს ბანაკს შეადგენენ ყველა ბურჟუაზთა პარტიები რადიკალებიდგან დაწყებული ლეგიტიმისტებამდე—ყველა ეს პარტიები ამ შეხედულებით რეაკციის პარტიებია, მათი—მოწინააღმდეგენი-კი გობლეს დასიდგან დაწყებული უკიდურეს სოციალისტებამდე შეადგენენ დემოკრატიის ბანაკს, პროგრესიულ-დემოკრატიულს პარტიას.

ჩვენ ამით გვინდა გავახსენოთ «კვალი»-ს პუბლიცისტს, რომ ნამდვილად პროგრესიულ - დემოკრატიულს პარტიას საფრანგეთში შეადგენენ ჯერ გობლესი და მერე სოციალისტთა დასნი. თუ ავტორი ამაზედ არ გვეთანხმება, ჰკითხოს ერთ-ერთს „კვალის“, „მარკსისტს“ და ის დაუმტკიცებს, რომ საფრანგეთში სხვა პროგრესიულ-დემოკრატიული დასი არ არსებობს. მაგრამ დავანებოთ თავი ამ სოციალ-დემოკრატიულს და ამასთანავე ნამდვილს შეხედულებას საფრანგეთის პარლამენტზედ და გავიხსენოთ ის პარტიები, რომელთა ხელში ახლა საფრანგეთის მართვა-გამგეობაა. ეს პარტიებია: კონსერვატული და ზომიერი რესპუბლიკელნი, მემარცხენე ცენტრი, ოპპორტუნისტები; ამათ შემდეგ მარცხნით სხედან რადიკალები. კონსერვატორთ, ზომიერ რესპუბლიკელთ და ოპპორტუნისტებს ჩვენს დროში თითქმის ერთი და იგივე პოლიტიკური პროგრამმა აქვსთ; გარდა ამისა მათ ასულდგმუ-

ვე და ამითი ერთი ორად ამოკლებს ქართულის ენის გაკვეთილების რაოდენობასა.

რუსულის წერა კითხვის სწავლება დადებულია მთავრობის გეგმით მეორე წლიდგანა, როდესაც ქართულს წერაკითხვაში უკვე გამართულნი უნდა იყვნენ მოწაფენი; ჩვენი პედაგოგი-კი ამ რუსულს წერა-კითხვას ბავშვებს კისერზედ ახვევს პირველსავე წელსა, როდესაც იმათ ქართული წიგნი ჯერაც არ იციან.

საგნების სწავლება მზრუნველის გეგმით უნდა სწარმოებდეს ორს წელიწადს ქართულს ენაზედ და მესამეს წელს რუსულზედა—უმეტესს ნაწილად (преимущественно, როგორც ნათქვამია); ჩვენს რეფორმატორს-კი ეს სწავლება საგნებისა მიჰყავს პირველს წლიდგანვე ორსავე ენაზედ, ქართულსა და რუსულზედ, და სრულიად არა ჰფიქრობს: ეს სწავლება უცნობს ენაზედ რა ზეპირობის (зубренія) ჯოჯოხეთად გარდააქცევს ჩვენს სკოლასა?

ოფიციალური გეგმა სალმრთო სჯულის სწავლებას ამწესებს სამივე წლის განმავლობაში მხოლოდ ქართულს ენაზედ, რუსულის ენის მონაწილეობაზედ-კი აქ კრინტიც არ არის დაძრული; ბ-ნი როსტომაშვილი-კი შესაძლებლად ჰხდის პირველივე წლიდგან რუსულადაც აწარმოოს ამ რთულის საგნის სწავლება.

მთავრობის გეგმა საკმარისად სთვლის ერთს მასწავლებელს სამის წლის სკოლისათვის, ბ-ნი როსტომაშვილი-კი მთელს სამს ჯამაგირიანს პირს ახვევს კისერზედ სოფელსა: მღვდელსა, (რომელსაც კვირაში 30 გაკვეთილი უნდა ჰქონდეს?) მასწავლებელსა და აგრონომსა, უთუოდ იმ იმედით, რომ ამ პირთ ჩვენი ღატაკი სოფლები-კი არ მისცემენ ჯამაგირსა, არამედ მდიდარი ინგლისის დედოფალი შეინახავს მათ თავისი ხარჯით.

და სხვანი და სხვანი მზგავსნი და არა მზგავსნი.

მართალია, ოფიციალური გეგმა სახალხო სკოლისა, უგუნური ერთგულებ.ს მეოხებით, ახლა ფაქტიურად დარღვეულია, დამახინჯებული და სწავლება ჩვენს სახალხო სკოლებში ბევრი გადასცდა მას, მაგრამ განა ჩვენ ამ დამახინჯებას ხელს უნდა ვუწყობდეთ, ვამართლებდეთ და ვაკანონებდეთ? პირიქით, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენს სკოლებში დაცული იყოს ეს გეგმა მაინცა, თუ უკეთესის შემოღება ახლანდელს დროსა და მიმართულებაში შეუძლებელია.

ბ-ნის როსტომაშვილის პროექტი რომ განხორციელდეს, ჩვენმა სახალხო სკოლამ ერთსა და იმავე დროს უნდა სდიოს სამს კურდღელსა: ქართულს წიგნსა, რუსულს ენასა და წიგნსა და აგრონომიასა. რასაკვირველია, სამივე კურდღელი ხელიდგან წაუვა და იგი სკოლა გარდაიქცევა არამც თუ ფაქტიურად, არამედ პრინციპიალურად ქარხანად გონების დახშობისა, დავთრების დაკარგვისა, ენის გარყვნისა და ხალხის გაველურებისა.

ნაცნობი

# ახალი ამბავი

⁂ საქართველოს სამხედრო გზის სადგურს კობსა და მლეთს შუა დიდი თოვლის ზვავი ჩამოწოლილა და საშინელი დიდი თოვლი მოსულა. აგერ რამდენიმე დღეა, რაც გზა გაფუჭებულია. ამის გამო არც გუშინწინ და არც გუშინ თფილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

⁂ თფილისის საოპერო დასის ზოგიერთი არტისტები დიდ-მარხვის კვირეებში მიემგზავრებიან ქუთაისსა და ბათუმში, სადაც სხვა-და-სხვა ოპერებიდგან სცენების წარმოდგენას აპირებენ.

⁂ ერთს ადგილობრივს გაზეთსა სწერენ პეტერბურგიდგან: ვლადიკავკავის რკინის გზის მართველობა გზათა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობს, რომ მიეცეს მას ნება, გაიყვანოს რკინის გზა შავი ზღვის ნაპირად. ეს გზა უნდა დაიწყოს სადგურ სამტრედიიდგან და უნდა გადავიდეს ნოვოროსსიისკამდე.

⁂ კავკასიის გუბერნატორების კრება ტფილისში გათავდა და გუბერნატორები მიდიან თავიანთს ქალაქებში. გუშინ ბაქოს გუბერნატორი როგე ბაქოს წავიდა.

⁂ ტფილისის გუბერნატორი დღეს დილით აბასთუმანს მიდის.

⁂ პირველ იანვრიდგან 7 თებერვლამდე ტფილისის პოლიციმეისტრის მიერ გამართულ ღამის თავშესაფარში ყოფილან სულ 4228 კაცი.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა გუშინ ქალაქის გამგეობას შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი გაუგზავნა, რომლის ძალითაც ქალაქის გამგეობამ ყოველ წელს თავისი ხარჯთ-აღრიცხვა და ყოველი შემოსავალ-გასავალის ანგარიში ფინანსთა მინისტრს უნდა გაუგზავნოს ხოლმე.

⁂ დღეს, 10 თებერვალს, წმ. ბარბარეს ქვემოდ ეკკლესიის ახლოს, სოლოლაკის პირდაპირ, კავკასიის მთავარმართებელი დაესწრება ყარსის რკინის გზისთვის მტკვარზედ ასაგებ ხიდის საძირკვლის კურთხევას. პარაკლისი და საძირკვლის კურთხევა შუადღის 12 საათზეა დანიშნული.

⁂ ამ თვეში ქალაქის გამგეობაში დანიშნულია ვაჭრობა ქალაქის გასუფთავების ფოდრათით მიცემისა, რადგანაც ეხლანდელი მეიჯარადრე ყურადღებას არ აქცევს ქალაქის სისუფთავეს.

⁂ ხვალ, 11 თებერვალს, საქველმოქმედო აზრით ტფილისის «სამუსიკო კრუჟოკში» დანიშნულია საკასტიუმო ბალი- ორიგინალურ კასტიუმებიანთ მისცემენ ოქროსა და ვერცხლის ნიშნებს ამ ბალის სახსოვრად.

⁂ გუშინ, 8 თებერვალს, ვერაზედ და დიდუბეში აგრეთვე ტფილისის მაზრის რამდენსამე სოფლებში სეტყვა მოვიდა ნაშუადღევის 4 საათზედ და ამის გამო აცივდა.

⁂ გუშინ წინ, 8 თებერვალს, ქართულს თეატრში ბ-ნ სიმონიძის საბენეფისოდ წარმოადგინეს ბ-ნ გუნიას დრამა „და-ძმა“ და ვოდევილი „ადვოკატთან“. ხალხი ამ წარმოდგენას სამწუხაროდ ნაკლებად დაესწრო.

⁂ 9 თებერვალს მთავარ-მართებლის საბჭოს უნდა გაერჩია ის საგანი, თუ როგორ უნდა მოხდეს შავის ზღვის ოლქის სამმართველოს შეცვლა.

⁂ შემდეგი სხდომა ქალაქის საბჭოს ყველიერის დღესასწაულების გამო 20 თებერვალს, ორშაბათს საღამოს ექმნება.

⁂ როგორც შევიტყეთ, ინჟენერი ლინდლეი, რომელიც ქალაქმა მოიწვია არხების გაყვანის პროექტის შესადგენად, მომავალ მარტის თვის პირველს რიცხვებში ჩამოვა. გუშინ, 9 თებერვალს, ლინდლეის თხოვნისამებრ, ქალაქის ინჟენერმა მელიქ-ატამოვმა ფრანკფურტში გაჰგზავნა ორი გეგმა ქალაქის ტფილისისა.

⁂ ამას წინად ქ. ტაშკენტიდგან ტფილისს ჩამოვიდა აფიცერის ახალგაზდა ყმაწვილი ქალი მარიამ იეზდოკოვისა, 25 წლისა, რომელიც აქ სამსახურს ეძებდა. 6 თებერვალს საღამოზედ ეს ქალი გამოსულა თავისის სადგომიდგან (ალექსანდრეს ქუჩა, № 59) და შინ აღარ დაბრუნებულა. მას აქეთ პოლიცია დაეძებს ამ ქალს და ჯერაც არ გამოუკვლევია, თუ სად დაკარგულა და სად არის. იჭვიანობენ, დარდით მტკვარში ხომ არ ჩავარდაო.

⁂ გზათა სამინისტროდგან იმ თვიდგან ტფილისის პოლიცმეისტერს მიეცემა ჯამაგირი რამდენიმე პოლიციის მოხელეთა დასანიშნად კავკასიის კინის გზის მმართველობის სადარაჯოდ. ყოველ დღე მიხეილისა, და აფთიაქის ქუჩაზედ სამი პოლიციის მოხელე უნდა იდგეს დარაჯად.

⁂ დ. ლანჩხუთი: ჩვენში მშვენიერი ამინდებია. ეს ზამთარი ისე მიდის, რომ თოვლი თვალითაც არ გვინახავს. ხეები ისე გამოიკვირტა, რომ აპრილის შუა რიცხვებს მოაგონებს კაცს.

⁂ იქიდგანვე: ნიგოითი და ლანჩხუთი ორს საქმეს აპირებს: პირველი გახლავთ ჩოხატაურიდგან ლანჩხუთში სასამართლოს გადმოტანა, რადგან ლანჩხუთს უფრო მეტი სოფლები აკრავს, ვინემ ჩოხატაურს. მეორე, ლანჩხუთსა და ნიგოითში ჰსურთ ხევის-წყალის გადმოყვანა. უნდა მოგახსენოთ, ძალიან შეწუხებულები ვართ წყალის ნაკლებობით, უმეტესად ზაფხულობით, როცა წყალი ყველგან ნაკლებია, წისქვილები აღარ ჰბრუნავს და იძულებულნი ვართ მთელის კვირით წისქვილში დავაგდოთ საფქვავი.

ჩვენში თავად აზნაურთა და გლეხთა რიცხვი ბევრია და თუ გულ-მოდგინედ მოეკიდებიან ამ საქმეს, იმედია მალეც სასურველს ნიადაგზედ დააყენებენ.

## კორესპონდენცია.

**ველის-ციხე**, (კახეთი). ჩვენი სოფელი ერთი საუკეთესო სოფელთაგანია კახეთის მხარეს და სქლად დასახლებული: ექვსასი კომლი ვართ, თავად-აზნაურთა გარდა. ჩვენდა სასიქადულოდ და სასიამოვნოდ არც წეს-წყობილებაზედ შევვიძლიან ვიჩივლოთ და ამ თავით, ჯერ-ჯერობით, კმაყოფილნიცა ვართ. თქვენ თითონ იგულისხმეთ: საავადმყოფოცა გვაქვს მძიმედ ავადმყოფების მისაღებად, ექიმიცა გვყავს, ამასთან ფერშალი და ერთიც ბებია-ქალი; აფთიაქი გვაქვს ორი—ერთი საავად-

---

ლებს ერთი საგანი, ერთი მისწრაფება:—არა გაუშვან ხელიდგან სახელმწიფოს მართვა და ყოველი ღონისძიება იხმარონ ახლანდელი პოლიტიკური და სოციალური წესწყობილების დასაცველად. კარგა ხანია საფრანგეთის სახელმწიფოს მაშინა ამ დასების ხელშია. მათ შორის ოპპორტუნისტებმა რადიკალების დახმარებით დაამყარეს რესპუბლიკური ფორმა, განათავისუფლეს სკოლები კლერიკალიზმის გავლენიდგან, დაადგინეს საერთო სალაშქრო ბეგარა (всеобщая войнская повинность) და კიდევ რამდენიმე წვრილმანი რეფორმები. მას აქეთ ამ დასების პროგრესიული მოქმედება შესწყდა, მათ ველარ გაბედეს და ბურჟუაზია არც მისცემდა ნებას წინ წასულიყო. ეს ოპპორტუნისტთა პარტია გახლავს სწორედ ის პარტია, რომელიც გამბეტამ შეჰქმნა. ამ პარტიასა და რადიკალთა პარტიას შუა კარგა ხანია ჩატყდა ხიდი, ჯერ კიდევ გამბეტა ცოცხალი იყო. „კვალის“ პუბლიცისტმა ეს იცოდა თავისს დროზედ და ახლა-კი დაჰვიწყებია, რომ გამბეტას კაბინეტი კლემანსოს მეთაურობით ძირს დასცეს რადიკალთა პარტიებმა და მას აქეთ ამ პარტიათა შორის ბრძოლა ღდემდისაც არ შეწყვეტილა იყო ერთი დრო—მეოთხმოცე წლების დამლევს,—როდესაც ეს პარტიები შერიგდნენ, რადგანაც კარებზედ მტერი მოადგათ—ბულანჟიზმი, მაგრამ როგორც-კი ბულანჟე დასცეს, ბრძოლა მაშინვე ასტყდა.

რადიკალთა ჯგუფი იმითი განსხვავდება სხვა ბურჟუაზულ დასებისაგან, რომ მას ჰსურს ცოტათი მაინც გააუმჯობესოს ახლანდელი წეს-წყობილება და ცოტა რამ შეღავათი მაინც აღმოუჩინოს მუშებს. სახელდობრ ამ პარტიას პროგრამმის საგნათა აქეს: დეცენტრალიზაცია, განცალკევება ეკკლესიისა სახელმწიფოსაგან, გარდასახადის გაწერა შემოსავლის-დაგვარად, გაუმჯობესება საქარხნო კანონმდებლობისა და კიდევ რამდენიმე წვრილმანი რეფორმა

მეოთხმოცე წლებში რადიკალებიც იღებდნენ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში, ადგენდნენ თავისს კაბინეტებს, მაგრამ მათ ვერ შესძლეს თავისის პროგრამის განხორციელება, რადგან პარლამენტის უმრავლესობა არ იყო იმათი მომხრე და თანამოაზრე. რამოდენიმე გამოჩენილ მოღვაწის სახელი იყო ჩართული პანამის ისტორიაში და ამიტომ მალე მომხდარს არჩევნებში რადიკალებმა და უმეტესად მათმა მეთაურებმა ვერ გაიმარჯვეს. ეგრედ წოდებული უკიდურესი მემარცხენე ორად გაიყო, ერთი ნაწილი მიიწია ცოტა მარჯვნივ და შეუერთდა რადიკალებს, მეორე ნაწილი, გობლეს მეთაურობით, მიიწია მარცხნივ სოციალისტებისაკენ. უკანასკნელს არჩევნებში გამარჯვებულნი გამოვიდნენ ერთის მხრით ზომიერ რესპუბლიკელთა დასნი, მეორეს მხრით სოციალისტები. ახალის ძალის მომეტებამ შეაშინა შუა დასები და ისინი უფრო დაკავშირდნენ, სახელმწიფოს მართვაში რადიკალებს აღარ ირევდნენ და დემოკრატიის პარტიებს ბრძოლა დაუწყეს. მათ ამოირჩიეს კარნოს მოკვლის შემდეგ კაზიმირ პერიე. ამის დახმარებით დიუპუის კაბინეტმა დევნა დაუწყო მუშების სინდიკატებს, ზოგიერთს დეპუტატებს, ერთის სიტყვით რეაქცია გაძლიერდა და პარტიებს შუა ბრძოლაც უფრო გამწვავდა. საქმის ამ გვარმა მიმდინარეობამ უკმაყოფილება გამოიწვია მთელს საფრანგეთში; არც ზოგიერთა გაზეთები იყვნენ მადლიერი საქმის უკიდურესობამდის მიყვანისა; ისინი სამართლიანად ამბობდნენ, აგრე რად უნდა გავამწვავოთ დასებთა ბრძოლა, უმრავლესობა ხომ ჩვენია, რადიკალებს და სხვა მემარცხენე პარტიებს ხომ არ შეუძლიანთ თავისი რეფორმები გაატარონ ახლანდელს პარლამენტში, მაშ რატომ უნდა ვეჩხუბოთ მათ ასე გამწარებითო. ამ ბრძოლის ატეხას პერიეს აბრალებდნენ. მეორეს მხრით რადიკალთა და სოციალისტთა პარტიები ყოველის შემთხვევით ჰსარგებლობდნენ, რომ პერიე ეძაგებინათ, ისინი ამბობდნენ, რომ კაზიმირ პერიე პარტიის კაცია რომ ის, ამორჩევის შემდეგ, უნდა გამხდარიყო მიუდგომელელ კაცად, მთელის საფრანგეთის პრეზიდენტათ და წარმომადგენელათ და არა ერთის პარტიის მეთაურადაო. პერიემ თავი დაანება პრეზიდენტობას, მაგრამ საქმე ამით არ შეცვლილა. კონგრესში იყარეს კენჭი რამდენმამე კაცმა. მათ შორის უმთავრესი იყო სამი კანდიდატი: ვალდეკ რუსსო, ფელიქს ფორი და ბრისსონი. პირველს ორს შუა გაიყვნენ ხმები ყველა მემარჯვენე პარტიებისა, ცენტრისა, ოპპორტუნისტთა და ზომიერთა დასებისა, ბრისსონს-კი მიემხრო ყველა მემარცხენე რადიკალებიდგან დაწყებული. იმდენი უმრავლესობა, რამდენსაც კანონი თხოულობს, არავის არ მოუვიდა და საჭიროდ შეიქმნა მეორედ კენჭის ყრა. მაშინ ყველა მმართველ პარტიებმა სთქვეს, რომ ბრისსონის წინააღმდეგ ერთი კანდიდატი უნდა დავასახელოთო.

ვალდეკ-რუსსო კარგა ხანია საპოლიტიკო ასპარეზიდგან იყო წასული, საქმეებში მონაწილეობას არ იღებდა; ბოლოს დროს ის გამოიწვია კაზიმირ პარიემ და უნდოდა დიუპუის მემკვიდრედ გაეხადა. ვალდეკ-რუსსო მომხრეა რადიკალებთან იმავე სასტიკის ბრძოლისა, როგორც თვით პერიე. ამისათვის მმართველს პარტიებს არაფრად ეპაშნიკებოდათ მისი ამორჩევა პრეზიდენტად და ფორს მიემხრნენ. ამ მოღვაწეს მტკიცედ აღნიშნული მიმართულება არ ჰქონდა, მას შეეძლო უფრო თანასწორად სამართლიანი ყოფილიყო ყველა პარტიისათვის, ვიდრე პერიე ან რუსსო და ამიტომაც ზომიერ პარტიებმა ურჩიეს. რუსსოს თავი დაენებებინა არჩევნებისათვის და ყველა მისი მომხრეები ფორს მიეკედლნენ, რათა ამით დაეძლიათ რადიკალებისა და სოციალისტების კანდიდატი ბრისსონი.

ამორჩეულ იქმნა ფელიქს ფორი, რამაც რადიკალები და სოციალისტები მეტად გაამწვავა. ფელიქს ფორმა, იმის დასამტკიცებლად, რომ ის ამორჩევის შემდეგ აღარ ეკუთვნის არც ერთს პარტიას, მოიწვია სამინისტ-

მყოფოსთან, მეორეც კერძო კაცისა. სწავლა-განვითარების საქმეც ჩამორჩენილი არაა ჩვენში, ამის დასაკმაყოფილებლად ორ-კლასიანი სასწავლებელია ჩვენში გამართული ვაჟებისათვის, ხოლო ქალთა სასწავლებელი მარტო სომხებსა აქვთ და დაარსებულია საკუთრივ სომეხთა ეკკლესიის ხარჯით. ყველა ეს დაწესებულებანი დაარსდა მიხეილ ქალანთარიშვილის მამასახლისობაში და მართლაც რომ საქებური მეცადინეობა მიუძღვის ამ საქმეებში ქალანთარიშვილს, რომელმაც ეს ორი წელიწადია თავი დაანება მამასახლისობას. ამის მოადგილის ა. ნ—შვილის ხელში ავ-კაცობამ შესამჩნევად იჩინა თავი: დღე არ გავიდოდა ან ღამე, რომ სოფელში ან ხარი არ დაკარგულიყო, ან ძროხა და ან სხვა წვრილფეხობა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ საზოგადოების თხოვნით წარსულს ღვინობისთვეში მაზრის უფროსი ჩამოვიდა ჩვენში და ამის თანადასწრებით საზოგადოებამ ერთხმად სერგო ბასილაშვილი აირჩია მამასახლისად. მალე ბოლო მოუღო ახალმა მამასახლისმა ქურდ-ბაცაცებს და ავკაცებსა, რადგან გონიერი საშუალება იხმარა: ორმოციოდე საეჭვო ზნეობის კაცი გამოარჩია საზოგადოებიდგან, საზოგადოებას განაჩენი დაადგენინა, ან უნდა გადასახლდნენ ეს კაცები ჩვენის სოფლიდგან, ან უდარაჯონ სოფელს, რათა ავ-კაცობას თვალყური ადევნონ, რომ ქურდები აღმოაჩინონო. ამ ორმოციოდე „რჩეულთა“ დარაჯობა ამჯობინეს თავისის სოფლიდგან გადასახლებას და, დაჰხეთ «ხერხი სჯობია ღონესაო», დღეს ჩვენს სოფელში ნემსის ღირებულებისა არა იკარგება-რა. ვისურვებთ, რომ ჩვენს მამასახლისს ხერხიანობის შემოღების ძალა და ღონე დიდს ხანს გაჰყოლოდეს ჩვენდა საკეთილოდ და მისდა სასახელოდ.

ღ—ძე.

—

ლანჩხუთი, (ოზურგეთის მაზრა): ნიგოითისა და ლანჩხუთის მცხოვრებნი დიდს გაჭირვებაში ვიყავით ჩავარდნილნი უფოსტობის გამო. ცოტა რამის გაგზავნა 2 მანეთამდე გვიჯდებოდა, რადგან ყოველივე გასაგზავნი ნივთი თუ ფული ან ოზურგეთში უნდა ჩაგვეტანა, ან სამტრედიაში და მოგეხსენებათ, ამ სიშორეზედ მისვლა-მოსვლა ადვილი არ არის.

ახლა, ჩვენ-და სასიამოვნოდ, დაბა ლანჩხუთში დაგვიარსეს „ფოსტის განყოფილება“, მაგრამ სასურველად-კი ვერ ვხმარობთ ამ დაწესებულებას. ჩვენის „ფოსტის განყოფილების“ უფროსი იმასა ცდილობს, რომ ყოველს საქმეში ბატონობა გამოიჩინოს და ყველა მონურად შეჰყურებდეს იმისს სურვილს. გათენდება თუ არა, სხვა-და სხვა გასართობს შეექცევა ეს დალოცვილი და იმას-კი არა ჰფიქრობს, რომ საბრალო გლეხი, რომელიც იმიტომ მოსულა, რომ ფული ან სხვა-რამ გაჰგზავნოს, დალამებამდის უცდის ფოსტის უფროსს.

მერე რა გგონიათ, მკითხველო, როცა უფროსი დაბრუნდება, ვითომ მიიღებს გასაგზავნს ნივთს? წარმოიდგენთ, რომ არა! ,,ახლა დაღამებულია, ხვალ დილით მოდი და ჩავიბარებო‘‘, ეუბნება გლეხს. საბრალო კაცი დაღონებული ბრუნდება; მეორე დღეს მიდის, მაგრამ იგივე ემართება, რაც წინა დღით... ასეთი მაგალითები მეტად ხშირია, რის გამოც სოფლის მუშა ხალხის შრომას დიდად აბრკოლებს ორ-სამს დღეს „ფოსტაში‘‘ ლოდინი.

სასურველია, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ,,ფოსტის‘‘ უფროსმა და ცოტაოდენი დრო თავისს მოვალეობასაც მოახმაროს.

გ.

## ერთის სამწუხარო მოვლენის გამო.

გუშინ გაზეთ ,,Кав.‘‘-მა გვაცნობა, რომ რიონის რკინის გზის სადგურთან, მთის ძირად, 4-ს თებერვალს თავი მოუკლავს ოცდა-ორის წლის ყმაწვილს კაცს ამირეჯიბს.

მიზეზი, როგორც ჰფიქრობენ, თურმე ის ყოფილა, რომ ახალგაზდა თავის მკვლელს, რომელსაც საშუალება არ ჰქონია სიღარიბის გამო სწავლა განეგრძო და გიმნაზიის მერვე კლასიდგან გამოსულა, — ფული ვერ უშოვნია ამსანაგებისაგან, რომ მით სახლის ქირა გაესტუმრებია დროზედ!..

ჩვენდა სამწუხაროდ, უკანასკნელი ხანა ჩვენის ცხოვრებისა აშკარად გვიმტკიცებს, რომ ამგვარი გულმოსაკლავი მაგალითები უფრო და უფრო გავრცელდნენ ჩვენში!..

წინად-კი თავის მკვლელობა ქართველისაგან ისეთი იშვიათი და საარაკო შემთხვევა იყო, რომ ვენი ძველები ყოველს ამგვარს მსხვერპლს საკუთარის თვით მნებელობისას ღმერთთან და კაცთან შემცოდეთ სთვლიდენ და თავის მოკვლას — თვალსაჩინოდ ღვთის მიერ მოვლენილ სასჯელად...

როდესაც ამას მოიგონებ, ძალა-უნებურად ეკითხები თავს: რა მიზეზია ჩვენის ცხოვრების ასეთი ცვლილება? რამ გამოიწვია გახშირება თავის მოკვლისა? სად და როგორ უნდა ვნახოთ უებარი მალამო ამ წყლულის მოსარჩენად და სხვა-და-სხვა?..

მიზეზი ამგვარის სამწუხარო მოვლენისა ჰევრგვარია, რთული და ბევრჯელ გაუგებარიც. მაგრამ ჩვენ ვეცდებით აქ აღვნიშნოთ მხოლოდ უმთავრესი გარემოება, რომელსაც, ჩვენის ფიქრით, პირ-და-პირი ზეგავლენა აქვს ჩვენის საზოგადოების ზრდასა და ვითარებაზედ. პირველი ის არის, რომ ახლანდელი ჩვენი მოზარდი თაობა და საზოგადოთ ახალ-გაზდობა მოკლებულია ნამდვილს აღზრდა-განათლებას, სულიერს გავარჯიშებას, ხასიათის შემუშავებას.

ადრიანად მოწყვეტილი ოჯახისაგან იგი მიდის სკოლაში, სადაც ყმაწვილის ყოველგვარი წრთვნა და განვითარება ამა დღიდამ მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მისი ნორჩი გონება დამძიმებული და გალაყებულია ხშირად გამოუსადეგარი საგნების ფორმალურად შესწავლით; ამგვარად დაუძლურებული ახალგაზდა, დამონებული გარეშე გავლენას, რომელიც უკლავს მას სულიერს ძალღონეს, უხვაფერებს გრძნობას, ჰკარგავს ადვილად სასოებას ცხოვრებასა და მომავალზე და იგი უნებურად ჰხდება შემთხვევის მონად, მცირესა და უმნიშვნელო მოვლენის მსხვერპლად. ამის დასასაბუთებლად, ჩვენის აზრით, საკმარისია გადავავლოთ თვალი გარეშე ქვეყნებს, მათ მიერ არჩეულს აღზრდა-განათლების სისტემას, მათს ამ საგანზე აზრს.

ავიღოთ მაგალითად ინგლისი და ამერიკა, სადაც აღზრდა განათლება უფრო გონიერს, ადამიანის ბუნებასთან შეთანხმებულს გზას ადგია, სადაც ხასიათის სიმტკიცის, სულიერის ძალ-ღონის განვითარებას სახლსა და სკოლაში უმთავრესი ალაგი უჭირავს; სადაც ოჯახი და სკოლა, ხელი-ხელს ჩაკიდებული, სიყრმიდგანვე უვარჯიშებს ახალგაზდას სულის სიმხნეს, უყვავილებს იმედებს, უადვილებს ყოველსავე დაბრკოლებასა და გასაჭირს. ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ ამ კურთხეულს ქვეყნებში ცხოვრების ვარამი, ცრემლი, თვალთ-მაქცობა და ხიფათი ადვილად ვერავის აალებინებს თავზე ხელს; თავის თავად ყვავილოვანს ბუნებას და სიცოცხლის ჩუხჩუხს არავინ გასცვლის სამარის სიბნელესა და მყუდროებაზედ!.. იქ, არამც თუ ცხოვრების სათავეში ვერ უწამლავს სიცოცხლეს ადამიანს გარემოებათა სიმწარე, არამედ ეს უკანასკნელი მაშინაც-კი ვერ ჰპოულობს ნიადაგს, როდესაც კაცი მოხუცებულია და, მაშასადამე, მისი ყოველგვარი ძალ-ღონე დაღმართისაკენ დაქანებულია. სწორედ ამგვარის აღზრდის შედეგია ის განსაკუთრებული თვისება ინგლისელთა და ამერიკელთა, რომ მათ ვერავითარი გარემოება ქედს ვერ მოახრევინებს.

ხშირად ჰხედავ, რომ ძალიან მდიდარი, ბედნიერი ინგლისელი წააიბორძიკებს, შეფერხდება და ხან სულაც დაეღუპება მას, რაც ხანგრძლივის შრომითა და მეცადინეობით მოუხვეჭია, შეუმუშავ ბია, დაუმყარებია. მაგრამ ეს საშინელი გარემოება, არამც თუ ვერ აღებინებს მას სიცოცხლეზედ ხელს, არამედ ხალისსაც-კი ვერ ართმევს: ის ხელახლად იმედით, სიყვარულით და სასოებით ჰკიდებს საქმეს ხელს მომავალის გასაუმჯობესებლად!..

რისი მიზეზია ეს? — იმ დიდებულის, მადლიანის აღზრდა-განათლებისა, რომელიც მათ წინ უძღვის სახლსა და სკოლაში.

რასაკვირველია, ვერც იმას დავივიწყებთ, რომ ამ გარემოებასთან ერთად ჩვენს საზოგადოებაში ზემო-აღნიშნულის სამწუხარო მაგალითების გავრცელებას ხელს უწყობს ჩვენი დღევანდელი ეკონომიური და სოციალური წეს-წყობილებაც. მაგრამ დღეს-დღეობით, სანამდის ყოველივეს ერთბაშად გავსწვდებოდეთ, საჭიროა სიმტკიცე ხასიათისა დავიცვათ და განსაკუთრებულის ყურადღებით მოვეპყრათ აღზრდა-განათლების საქმეს; მივიღოთ ყოველივე საშუალება დავუახლოვოთ სკოლა და ოჯახი ერთი-მეორეს, და თუ ეს ვერ შევძელით, — მაშინ პირველ დაწყებითი აღზრდა მაინც დავამყაროთ უფრო სამართლიანსა და მჭიდრო ნიადაგზედ, რომ ამ გვარად მომეტებულმა ყურადღებამ, ზრუნვამ და მეცადინეობამ კიდევ აღგვიზარდოს

,,იგივ მხნე, იგივ ძლიერი,
მებრძოლი შავის ბედისა‘‘.

შროშანი

## ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ.

ზოგიერთის გარემოების გამო ჩვენის სოფლის სკოლების საქმე ისეა მოწყობილი, რომ გლეხები სრულიად უკმაყოფილონი არიან. ბევრს სასწავლებლებში ძლიერ მცირე რიცხვია მოსწავლეებისა. ერთი უპირველესი მიზეზი ამისთანა მოვლენისა ის არის, რომ ბავშვების მშობლები დაშორებულნი არიან სკოლაზედა და მასწავლებელზედ, მასწავლებელი მიაჩნიათ რაღაცა მძარცველად. ბევრნი

---

რის შესადგენად თავისის პარტიის კაცი-კი არა, არამედ რადიკალებისა. „კვალს“-კი ეს მოწვევა იმის დასამტკიცებლად მოჰყავს, რომ ფორი და ბრისსონი ერთისა და იმავე პარტიის კაცები არიანო. ბრისსონი არ დასთანხმდა სამინისტროს შედგენაზედ, იმისთვის რომ ახლანდელს პარლამენტში ყოველის რეფორმის კანონპროექტის წინააღმდეგი დიდი უმრავლესობა იქნებოდა და მოღვაწეობა რადიკალთა კაბინეტისა ფუჭად ჩაივლიდა. ეს თითონვე განაცხადა ბრისსონმა და „კვალს“-კი ჰგონია, რომ უარის მიზეზი „პიროვნული უკმაყოფილება“ არისო. ახირებული პუბლიცისტი არ დასჯერებია ფაქტების თავისებურად ახსნას და დალაგებას, ის აქა-იქ ოცნებასაც-კი მიჰმართავს ხოლმე. აი მაგალითად, რასა სწერს.

„დაუძლურებულმა ზომიერ რესპუბლიკის პარტიამ ზურგი ვერ გაუმაგრა თავისს გმირს (ე. ი. კაზიმირ პერიეს), რომელიც ბრძოლის ველიდგან გაიქცა. ნახევარი ამ პარტიისა თვით გადვიდა პროგრესიულ დემოკრატიაში. ამ სახით საფრანგეთის პარლამენტმა იცვალა ფერი“.

ამის დამწერს ეს სიზმარში მოჰლანდებია უთუოდ, იმისთვის რომ საფრანგეთის პარლამენტში არც ფორის ამორჩევის დროს და არც შემდეგ ხანებში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ბოდიშს ვიხდით მკითხველებთან, რომ ამდენს ხანს ვეზაასეთ ამ ჩვენთვის ძლიერ დაშორებულსა და უმნიშვნელო საგანზედ, მაგრამ „კვალის“ პუბლიცისტის აპლომბმა გაგვაკვირვა... ჩვენ კვლავ ვურჩევთ „კვალის“ პუბლიცისტს, კარგად გაიმეოროს საფრანგეთის ისტორია, რომ შემდეგ აღარ დასწეროს იმისთანა პოლიტიკური წერილები, რომელიც შეჰფერის „ნივა.“-ს და არა სამეცნიერო ჟურნალს.

ლალი.

## სამეცნიერო ნაწილი. *)

წარსულს ფელეტონში გაკვრით მოვიხსენიეთ აწინდელის მეცნიერების აზრი დედა-მიწის დაბადებაზედ. მკითხველს ეხსომება, რომ სივრცეში მყოფი ადუღებული მასალა შენელდა, გარშემო ქერქი გაიკეთა, ეს ქერქი თან-და-თან უფრო სქელდებოდა — და ასე დაიბადა დედამიწა, რომელზედაც შემდეგ გაჩნდა ჰაერი, წყალი, მცენარე და სულ ბოლოს სულდგმულიც.

საინტერესო არის, უფრო ახლო დავაკვირდეთ ამ დედამიწის შემაზავებელ ,,ადუღებულს მასალას‘‘ და ,,ქერქს‘‘. რა ყოფაში არიან ეხლა ეს ელემენტები, რა გავლენა აქვთ მათ დედამიწის ბედ-იღბალზედ? აი ის საგნები, რომელთ შესახებაც მსურს მკითხველს ვესაუბრო და რომელთა ასახსნელად ისევ მადლიან მეცნიერებას უნდა მივმართოთ.

სულ პირველად ჩვენს ყურადღებას დედამიწის ქერქი იზიდავს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან დედამიწის ,,ქერქი‘‘ შეადგენს იმ ალაგს, სადაც ჩვენ (ადამიანი) წინა-პირველად ფეხს ვიკიდებთ, სახლებს ვიშენებთ, მამულებს ვჭიმავთ, სახელმწიფოებს ვაფუძნებთ, სადაც თითოეულის ჩვენგანის სამშობლო მდებარეობს.

როგორც ჰხედავთ ამ ,,ქერქს‘‘ ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს, ადამიანმა ზედ-მიწევნით უნდა იცოდეს იმისი ზნე-ჩვეულებანი და იცის კიდეცა.

რაღა თქმა უნდა, რომ მკითხველი უყურადღებოდ არ დასტოვებდა შარშან ყოველ მხრიდგან მოსულს ამბებს, რომ მიწა იძრა, აქ ეს ზიანი მოიტანა, იქ ის ზიანიო და სხვ. საზოგადოდ ამ ამბების გადმოცემაში შიში და შფოთვა მოჩანდა, ყველგან მიწის ძვრას იშვიათ და საზარელ მოვლენად, ღვთის რისხვად სახავდნენ.

პირველად მიწის ძვრა, შარშან შეამჩნიეს საბერძნეთში. ამ ქვეყანაში დედამიწა სწორედ ორის კვირის განმავლობაში იძვროდა და ეს ქაჯური „ბუქნაობა“ მიწისა ისე ძლიერი იყო, რომ ერთს ალაგას პატარა ქალაქი ატალანტი, რომელშიაც რამდენიმე ათასი კაცი სცხოვრებდა — სულ ერთიანად დააქცია. საბერძნეთის მიწის ძვრამ იმსხვერპლა მრავალი სოფელი და ქალაქი, ხალხი, საცხოვრებელი. 300 მცხოვრებს მოესპოთ სიცოცხლე, 30,600-ს ქონება და სახლ-კარი.

ამავე ხანებში, აპრილში, მიწის ძვრამ სამხრეთ-ამერიკაშიაც იჩინა თავი. აქ რამდენისამე წამის განმავლობაში ამ მოვლენამ 40-ზედ მეტი სოფელი და ქალაქი დაჰღუპა. დაღუპულის ქალაქების რიცხვი ექვსი იყო. აქ, ერთ-ერთს ქალაქში, მერიდში, მიწის ძვრა ისე ძლიერი იყო, რომ ერთს ალაგას დედამიწა ისე ღრმად და განიერად გაიპო, რომ შიგ მთელი ციხე, 150-ის ჯარის-კაცით ჩაინგრა. საზოგადოდ ამ კატასტროფამ 10,000 ადამიანს მოუსპო სიცოცხლე!..

ამ ამბების შემდეგ ორმა თვემ ძლივს გაიარა და მიწის ძვრა ჯერ სტამბოლის ახლო-მახლო ალაგებსა და ზღვაში შეამჩნიეს და მერე თვით სტამბოლშიაც. აქაც მრავალი ხალხი და საცხოვრებელი იმსხვერპლა მიწის ძვრამ. ესევე ამბავი მოახდინა ამ მოვლენამ არგენტინის რესპუბლიკაში, იაპონიის არქიპელაგში — ოქტომბერში და იტალიაში — ნოემბრის პირველს რიცხვებში. აი, რა რიგად და რამოდენს მანძილზედ მძვინვარებდა შარშან მიწის ძვრა!

ბევრი მეცნიერი იმ აზრისაა ამ ჟამად, რომ ეს შარშანდელი ამბები ჯერ არ დასრულებულა და წრეულსაც განაგრძობს მიწის ძვრა თავისს საზარელს მოქმედებას სხვა-და-სხვა ალაგებში. ესეც-კია, რომ შარშან თუ ცხრა მთას იქით იყო მიწის ძვრა, — წრეულს შესაძლებელია, რომ ცხრა მთას აქეთ მოხდეს ეს ამბავი. გუშინ თუ ჩვენში არ შეგვიმჩნევია ეს მოვლენა, შეიძლება დღეს, ეხლავე შევამჩნიოთ ჩვენშიაც. ყველა იმ მოლოდინში უნდა იყოს, რომ შესაძლებელია იმასაც გაუჩნდეს სახლში ეს ჭირი.

ჩვენს დასამშვიდებლად, საზოგადოდ-კი უნდა ითქვას, რომ მიწის ძვრა არც ისეთი იშვიათი მოვლენა არის,

*) ამ წერილის შესადგენად ჩვენ ვსარგებლობდით „რუს. ვედ.“-ის წერილით. საზოგადოდ „სამეცნიერო ნაწილისათვის“ ჩვენ სხვა-და-სხვა მასალებით ვხელმძღვანელობთ.

ჩვენი მასწავლებლებიც, სამწუხაროდ, არავითარს საშუალებას არა ჰხმარობენ, რომ საზოგადოება დაიახლოვონ, მათი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურონ და ხალხს შთააგონონ სწავლის საჭიროება. როდესაც მასწავლებელი ხალხის სიყვარულს დაიმსახურებს, სწავლის ძალას თვალ-წინ აშკარად გამოუხატავს, ეჭვი არ არის, რომ მაშინ გლეხკაცი დიდის სიამოვნებით მიაბარებს მას თავისს ბავშვს.

ქვემო-ჭალის სასწავლებელში იანვრამდის ათს მოწაფეს ერთად არ გაუვლია, მაგრამ როდესაც ამ სკოლაში საკვირადღეო სწავლა გაიხსნა,—თითქმის 30—35 წლის გლეხკაცებიც-კი სწავლას შეუდგნენ; როდესაც 14 იანვარს სალიტერატურო საღამოზედ მოისმინეს თავიანთის უსუსურის ბავშვის (მოწაფის) პირით წმიდა ნინოს ცხოვრება და რამდენიმე ლექსი, მაშინ სკოლას მოაწყდა ოცდა-ათზედ მეტი მოწაფე.

საკვირადღეო სწავლა და ბაასი ვინ არ იცის, რომ ძლიერ სასარგებლო საქმეა; მხოლოდ ამ საქმეს გამოცდილება უნდა. ძლიერ სასიამოვნო იქნებოდა, რომ ამ საგნის შესახებ ვინმე დარიგებას მოგვცემდეს, რადგანაც ყოველი შეცდომა საქმეს დიდს ზარალს მოუტანს. აგრეთვე ვსთხოვ პატივცემულს საზოგადოებას, რომ რაიმე შემწეობა გაგვიწიოს: გამოგვიგზავნონ სახალხო წიგნები გორში არსენ კალანდაძის სახელობაზედ, გადასაცემად ნ. კანდელაკისა.

ქვემო-ჭალის მასწავლებელი ნ. კანდელაკი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

ჟურნალ „რუსსკ. მისლ“-ის იანვრის ნომერში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ჰმატულობს ყოველ წლივ რუსთა გლეხ-ბის გადასახლება ციმბირ-ში.

„მეოთხმოცე წლებამდე, სწერს ჟურნალი, შედარებით მცირე იყო გადასახლებულთა რიცხვი; მათი რაოდენობა არ აღემატებოდა რამდენსამე ათასს კაცს. ამ წლებიდგან-კი გადასახლებულთა რიცხვი დიდად ჰმატულობს. 1886 წელს ქალაქ ტიუმენზე გაიარა 11,862 კაცმა, 1887 წ.—13,810, 1888 წ.—26,129, 1889 წ.—28,341, 1890 წ.—33,720, 1891 წ.—67,994, 1892 წ.—80,015, 1893 წ.—58,015, 1894 წელს პირველს ივლისამდე—57,000 კაცი. ათის წლის განმავლობაში ტიუმენზე გაუვლია 387,000 ორენბურგზე—60,000 კაცს.

როგორც ვიცით ახლა გადასახლების საქმე, სხვა მიზეზთა გარდა, გაძნელებული არის გზების უქონლობით. ასე რომ, როდესაც ციმბირის რკინის გზის გაყვანა დამთავრდება, გადასახლებულთა რიცხვი გაათკეცდება მაინც.

—

«პეტერბურგის გაზეთი» გვატყობინებს ახალს ხმებს ლევ-ტოლსტოის თხზულებების შესახებ:

„ამბობენო,—სწერს გაზეთი,—ლ. ტოლსტოის ორი ახალი თხზულება აქვსო ერთი—მოთხრობა, მეორე—შესანიშნავი თხზულება, რომელიც სარწმუნოებას შეეხება. ამ მეორე თხზულებაში ტოლსტოი არკვევს ყველა თავისს შეხედულებასა და აზრს სარწმუნოების შესახებ. ამბობენ ერთს ამერიკელს წიგნების გამომცემელს ძალიან სურდა ამ უკანასკნელის წიგნის და სხვა იმ წიგნთა შეძენა, რომელიც რუსეთში ვერ დაიბეჭდება, უნდოდა თურმე ამ წიგნის დაბეჭდვის ნება-რთვა საკუთრივ მას მოეპოვებინა. მაგრამ,—ამბობს გაზეთი, ყველა ამ გვარი ცდა ფუჭია, რადგანაც, როგორც ვიცით, ლ. ტოლსტოიმ უარ-ჰყო თავისი საკუთრების უფლება ახალს თხზულებებზედაო.

## ბორდოს კონგრესის გადაწყვეტილება.

1893 წელს ქ. ბორდოში მომხდარს კონგრესზედ ბავშვების ფიზიკურად აღზრდის შესახებ ხანგრძლივი სჯა-ბაასი ჰქონდათ და განიხილეს-რა ყოველის მხრივ ეს საგანი, შემდეგს დასკვნას დაადგნენ:

1) მოწყობა, მორთულობა, ჰაერის გასუფთავება და სასწავლებლის განათება უთუოდ უნდა აკმაყოფილებდეს ჰიგიენურ მოთხოვნილებათ.

2) მოსწავლეთა ჯანმრთელობისათვის უნდა ჰზრუნავდნენ ამ საქმისათვის საგანგებოდ დანიშნული ექიმები.

3) თუ სასწავლებელში მრავალი მოსწავლეა, თითოეულს სკოლას თავისი საკუთარი ექიმი უნდა ჰყავდეს.

4) სხვა საგნებთა შორის ყოველს სასწავლებელში ჰიგიენასაც უნდაასწავლიდნენ.

5) სასწავლებლის ექიმს შეძლება უნდა ჰქონდეს თავისის ნებით გაანთავისუფლოს ხოლმე მოწაფე ამა თუ იმ შრომისაგან.

6) პანსიონებში მცხოვრებ მოწაფეთათვის მუშაობის ისეთი გეგმა უნდა იყოს დადგენილი, რომელიც ჰიგიენურ მოთხოვნილებათ აკმაყოფილებდეს.

7) სასწავლებლის მმართველობა ყოველს ღონისძიებას უნდა ჰხმარობდეს, რომ თავისუფალს დროს ღარიბი მოსწავლენი სოფლებში იგზავნებოდნენ.

8) ფიზიკურად დასუსტებულის ყვაწვილებისათვის უნდა დაარსდეს განსაკუთრებული სამკურნალო-საპედაგოგიო დაწესებულებანი, სადაც სწავლა, ცხოვრება ჰიგიენურს ნიადაგზედ უნდა იყოს დაყენებული.

9) მოსწავლეებს უფრო ბევრი თავისუფალი დრო უნდა ჰქონდეთ, ვიდრე აქამდის აქვთ.

10) ნასადილევს მთელი თავისუფალი დრო შეძლებისა დაგვარად სხვა-და სხვა ფიზიკურს ვარჯიშობას უნდა მოჰხმარდეს.

11) გიმნასტიკა სისტემატიურად უნდა ისწავლებოდეს. ამასვე ეკუთვნის სამხედრო ვარჯიშობა.

12) სასურველია, რომ შემოღებულ-იქმნას ადგილობრივი, პროვინციალური და ნაციონალური თამაშობა *)

13) ბავშვების სათამაშოდ თამაშობის შესაფერი ადგილები უნდა იყოს დანიშნული.

14) საჭიროა, რომ ახალგაზდობამ შეისწავლოს ცურაობა, თხილამურებით ყინულზე სრიალი, ცეკვა-თამაში, სიმღერები და თუ მოხერხდება, ჯირითი, დაშნებით ვარჯიშობა და თოფის სროლა.

15) ურიგო არ იქნება, მოწაფეები სხვა-და-სხვა ადგილებში წაიყვანონ ხოლმე მოწაფეების პრაქტიკულად სწავლისათვის.

16) ურიგო არ იქნება დაარსდეს საგანგებო უმაღლესი სასწავლებელი ბავშვების ფიზიკურად აღზრდისათვის.

17) ხელ-საქმის სწავლებაც ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ მოწაფის მთელი ფიზიკური მხარე ვარჯიშდებოდეს.

ამ დადგენილების შემდეგ ბ-ნმა Berreviczy-მა გამოსთქვა ის აზრი, რომ ზემოდ მოყვანილი წეს-წყობილება შემოღებულ უნდა იქმნეს საშუალო სასწავლებლებში, სადაც განათლებულთა შვილები სწავლობენ და ამასთანავე დაუმატა, რომ საჭიროა ქალთა განათლების შესახებაც ვიზრუნოთო, რომელთა განათლებას სულ სხვა გვარი ხასიათი აქვსო.

*) ადგილობრივ სათამაშოთა შორის პირველი ადგილი „ბურთაობას“ უჭირავს, რადგანაც ბავშვის ორგანიზმი ამ თამაშობის დროს ყოველ მხრივ ვითარდება და ვარჯიშდება. ჩვენ ძალიან გვიკვირს, რომ ეს სასარგებლო თამაშობა აღკრძალულია ჩვენებურს სასწავლებლებში.


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი მ. ტურბოვიჩი. ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

ი. ფ. პროკოპასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)


როგორც ადამიანს ჰგონია. კარგა ხანია მას აქეთ, რაც გამოჩენილმა არაგომ სთქვა: „ადამიანს ცოტა მეტი დაკვირვება რომ შეეძლოს, თითქმის ყოველს წამს და ყოველგან შეამჩნევდა იგი მიწის-ძვრასაო.“ ასე ხშირი ყოფილა მიწის ძვრა! თუ ყოველთვის ვერ ვამჩნევთ ამ მოვლენას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საკმაოდ არ ვუკვირდებით მას, რადგან სუსტად ჰმოქმედებს.

მიწის ძვრა ხომ იგივე დედა-მიწის ქერქის ძვრა არის და ამ ქერქის ძვრას, კანკალს, ადამიანი მხოლოდ მაშინ ატყობს, როდესაც იგი შესამჩნევად მძვინვარებს, თუმცა-კი ზოგიერთს ქვეყნებში, მაგ. იაპონიაში მცხოვრებნი ისე არიან მიჩვეულნი მიწის ძვრას, რომ რაც უნდა სუსტი იყოს, მაინც ატყობენ ხოლმე უინსტრუმენტოდ. ამ შემთხვევაში იაპონელებს ზოგიერთა პირუტყვის თვისება ჰქონიათ. სტამბოლში შეამჩნიეს, რომ მიწის ძვრის წინა დღეებში მერცხლებმა, ქათმებმა, ძაღლებმა და სხვ. პირუტყვებმაც თითქოს იგრძნეს, რაც უნდა მომხდარიყო, თავი ისე ეჭირათო.

საყურადღებო აქ ის არის, რომ—ამჩნევს თუ არ ამჩნევს ადამიანი ყოველთვის მიწის ძვრას, იგი ხშირი მოვლენა არის და ამ მოვლენის დროს დედა-მიწის „ქერქი“ და „ადუღებული მასალა“ უახლოესს მონაწილეობას იღებენ. დიდი ხანია რაც მეცნიერებისაგან ერთი გარემოებაა შემჩნეული. ზღვისა და ოკეანების ნაპირა ალაგებში მიწის ძვრა უფრო ხშირი და ძლიერია ხოლმე. ეტყობაო,—დაასკვნეს, წყალს დიდი გავლენა ჰქონია მიწის-ძვრაზედ.—კარგა ხანია რაც მეორე გარემოებაც არის შემჩნეული იმავე მეცნიერებისაგან: მიწის-ძვრის დროს ზოგიერთა ალაგებში დედა-მიწა პირს დაალებს ხოლმე და ამ გაპობილ ალაგებიდგან წყლის ორთქლი ამოდის.—ეტყობაო, დაასკვნეს აქედგან, მიწის ძვრის დროს წყალი ორთქლად იქცევა; ხოლო წყალი რომ ორთქლად იქცეს—ამისთვის საჭირო არის სიცხე, სიცხოველე.

ამ ნაირად, თუ დედამიწის გულში წყალი გაჩნდა და თუ იმ ალაგს დიდი სიცხოველე აქვს—მაშინ იქ წყალი ორთქლად იქცევა—ეცემა დედამიწის ქერქს, შეანძრევს მას, გააპობს და ორთქლი თავისუფლად ამოვა, მაგრამ დედამიწის შუაგულ ალაგისკენ არის-კი სიცხოველე ან წყალი?

არის და აი რადა? დედა-მიწას დაახლოვებით ბურთის, კვერცხის მსგავსება აქვს. გამოკვლეულია, რომ დედამიწის ქერქი ყოველგან ერთის სიცხოვლისა არ არის: რაც უფრო ღრმად ჩავთხრით ამ ქერქს, უფრო და უფრო ცხელს ალაგებს ვპოულობთ. ასე რომ თითქმის ყოველ 45 მეტრის სიღრმეზედ დედამიწის ქერქს ერთი გრადუსი სიცხე ემატება. რაკი ეს ასე არის, დედამიწის ქერქი სამოცის ვერსის მანძილზედ რომ ჩავთხაროთ, იქ სიცხოვლეს ორი ათასი გრადუსი ექმნება. ეს ისეთი სიცხეა, რომ მას ვერც ერთი საგანი ვერ გაუძლებს: ქვა და კლდეც-კი ადუღდება იქ.

მაშასადამე, დედამიწის შუა გულისაკენ, ამ სიღრმეზედ ყოველის ფერი უნდა დუღდეს და გადმოდუღდეს. ასეც არის.

დედამიწის რადიუსი 6,000 ვერსტს შეადგენს. რაკი დედამიწას შუა-გულში ისეთი ადუღებული მასალა ყოფილა, რომ ქერქი მის გარშემო მხოლოდ 60 ვერსამდეა გამაგრებული, ამიტომ დედამიწის ვითარება, უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, შეიძლება იგი კვერცხს შევადაროთ. კვერცხის ქერქი—დედა-მიწის ქერქსა ჰგავს და ცილა—კიდევ იმ ადუღებულს მასალას, რომელიც ჩვენის დედა-მიწის შუა გულისკენ არის.

მაშასადამე, დედა-მიწაში დიდი სიცხოვლე ყოფილა. ახლა თუ ისიც დამტკიცდა, რომ იქ წყალიც მოიპოვება, მაშინ მიწის-ძვრა ადვილად აიხსნება.

ყველა ადვილად წარმოიდგენს, რომ ზღვებისა და ოკეანების წყალი მიწაში უნდა იჟონებოდეს, მიწის ქერქში უნდა ჩადიოდეს. დამტკიცებულია, რომ ქერქი ისე ძლიერ იზიდავს ამ წყალს, რომ თვით ქვებიც-კი ითვისებენ მას, როგორც ღრუბელი შეისვამს ხოლმე. ეს კია, რომ წყალი მიწის ქერქში ღრმად ვერ ჩავა, რადგან იქ დიდი სიცხოვლე სდგას და ორთქლად იქცევა. ამ შემთხვევაში მიწის ქერქი ორნაირად წარმოგვიდგება, ორ პირად. ერთი პირი წყალი გაჟონვილია, სველია, ხოლო მეორე პირი-კი მშრალი. ქერქის ზედა პირი, რომელზედაც ჩვენ დავდივართ—სველია, მის ქვეშ ადუღებულ მასალამდე-კი მშრალი. დედამიწის ქერქის მშრალ პირის ქვეშ ადუღებული მასალა თან-და-თან ნელდება და იჭმუხნება. ამიტომაც არის, რომ მშრალი პირიც თან-და-თან ინგრევა, იფშვნიტება, ფუტუროვდება. ამ ფუტუროებს, ხვრელებს ისეთი დიდი სივრცე უნდა ჰქონდეთ, რომ შიგ მთელის ქალაქების ჩატევა შესაძლებელი იყოს.

ადვილად წარმოსადგენი არის, რომ შესაძლებელია ამ ხვრელში დედამიწის ქერქის სველი პირი ჩაინგრეს; ის სველი პირი, რომელიც წყალით არის გაჟონილი. რაკი ეს მოხდება, წყალი დიდ სიცხოვლემდის მიატანს თუ არა, ადუღდება, ერთბაშად ორთქლად იქცევა, ეს ორთქლი ერთბაშადვე ეცემა იქით, საითაც უფრო ადვილად გავა, ესე იგი დედა-მიწის ქერქის ზემო პირისაკენ, შეანძრევს მას, ააკანკალებს და ამითი მოახდენს მიწის ძვრას. ახლა მკითხველი კარგად წარმოიდგენს, რა მნიშვნელობა აქვთ მიწის ძვრის მოვლენაში: წყალს, სიცხეს, დედამიწის „ქერქს“ და მის სიღრმეში მყოფს „ადუღებულს მასალას“.

დასასრულ, რათა უფრო კარგად დავარწმუნოთ მკითხველი, რომ ერთბაშად ორთქლად ქცეულს წყალს დიდი ძალა აქვს და ადვილად შეუძლიან მას მიწის ძვრა მოახდინოს, შემდეგს მაგალითს მოვიყვან: ქარხნების ღუმელები, ბუხრები ხომ მაგრად არიან აშენებულნი. მაგალითი ყოფილა, რომ ეს ღუმელი სულ ერთიანად დანგრეულა, რადგან შიგ შემთხვევით ერთი სველი აგური ჩავარდნილა.

ასეთი ძალა აქვს ორთქლად ქცეულს წყალს.

—ლი—გ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 9-го Февраля 1895 г.    სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა    რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.